ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826145164**
თარიღი: **25/05/2026**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

---

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, ,,ქალაქ წყალტუბოს ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ წყალტუბოს ადმინისტრაციულ საზღვრებში საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების მართვის ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის აუცილებლობით. დღემდე, კონკრეტულ ქუჩებზე საგზაო ნიშნების განთავსება საჭიროებდა ფრაგმენტულ სამართლებრივ მოწესრიგებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რისკის მინიმუმამდე შემცირებას.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი ,,3“ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

**ადრესატი:**

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მაკა ჭელიძე
ადმინისტრაციული სამსახური-იურიდიულ საკითხთა განყოფილება-განყოფილების უფროსი

წერილის ნომერი:**03-4826145124**
თარიღი: **25/05/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

ქალაქ წყალტუბოში, სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსდა სხვადასხვა ამკრძალავი ნიშნები, კერძოდ: 26 მაისის ქუჩაზე, „ცივი ტბა"-ს მარჯვენა და მარცხენა შესასვლელებში, ამკრძალავი ნიშანი შესვლა აკრძალულია 3.1. ასევე, პარკის შესასვლელებში, იუსტიციის სახლის, ლიბერთი ბანკის, მაღაზია „წიწვების", სანატორიუმ „რკინიგზელი"-ს მხრიდან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ, ევროპის ხიდზე, ამკრძალავი ნიშნები შესვლა აკრძალულია 3.1. ასევე ქალაქ წყალტუბოში, გ. ტაბიძისა და 9 აპრილის ქუჩების გზაჯვარედინზე, აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში, სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიმართულებით ნიშანი შესვლა აკრძალულია 3.1.

ქალაქ წყალტუბოში, მე-2 საჯარო სკოლასთან, გ. ტაბიძის ქუჩაზე ორივე მხარეს (ნიშნების მოქმედების არეალი 400 მ. ) „ცივი ტბა"-ს მიმდებარედ ავტო-სადგომის მხარეს, ცენტრალური პარკის შესასვლელში რკინიგზის გადასასვლელის მხრიდან, ამკრძალავი ნიშანი 3.28. დგომა აკრძალულია. ასევე ბაზრის მიმდებარედ, წერეთლის ქუჩაზე ამკრძალავი ნიშანი 3.27. გაჩერება აკრძალულია.

სატვირთო ავტომობილების მოძრაობა აკრძალულია, ნიშანი 3.4. მოწყობილია სამ ლოკაციაზე, სამაკაშვილისა და რუსთაველის ქუჩების შეერთებაზე, გ. ტაბიძისა და 9 აპრილის ქუჩების გზაჯვარედინზე და დ.აღმაშენებლისა და თამარ მეფის ქუჩების გადაკვეთაზე.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცების მიზნით მოამზადოს, ქალაქ წყალტუბოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ დადგენილების პროექტი.

პატივისცემით,

მალხაზ ჩხეიძე

ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური-სამსახურის უფროსი

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქ. წყალტუბო

-- მაისი, 2026 წელი

**ქალაქ წყალტუბოს ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ქალაქ წყალტუბოს ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესები თანდართული დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს დადგენილებით დამტკიცებული საგზაო მოძრაობის წესების ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების (საგზაო ნიშნების განთავსება და ა.შ.) გატარება.

**მუხლი 3**

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები ვალდებული არიან დაიცვან ამ დადგენილებით განსაზღვრული მოძრაობის ორგანიზების წესები, ხოლო ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ გათვალისწინებული სანქციების დაკისრებას.

**მუხლი 4**

სატრანსპორტო საშუალებების საგზაო მოძრაობის ამკრძალავი ნიშნის მოქმედება არ გავრცელდეს საგზაო მოძრაობის ამკრძალავი ნიშნის არეალში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეებზე.

**მუხლი 5**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: ა. ზვიადაძე

მ. მამისეიშვილი

შეთანხმებულია: მ. ჭელიძე

მ. ჩხეიძე

დანართი

**ქალაქ წყალტუბოს ადმინისტრაციულ ერთეულში საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესები**

1. **დამონტაჟდეს ამკრძალავი ნიშანი „შესვლა აკრძალულია“ (3.1)** - ქალაქ წყალტუბოში, ცენტრალური პარკის შესასვლელებში, იუსტიციის სახლის, ლიბერთი ბანკის, მაღაზია „წიწვების“, სანატორიუმ „რკინიგზელის“ მხრიდან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ, ე.წ ევროპის ხიდზე, 26 მაისის ქუჩაზე, „ცივი ტბის“ მარჯვენა და მარცხენა შესასვლელებში, გ.ტაბიძისა და 9 აპრილის ქუჩების გზაჯვარედინზე დ. აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში, საგანგებო სიტუაციების სამსახურის წყალტუბოს სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიმართულებით.

2. **დამონტაჟდეს ამკრძალავი ნიშანი „გაჩერება აკრძალულია“ (3.27)** - ქალაქ წყალტუბოში, ბაზრის ტერიტორიის მიმდებარედ, ა. წერეთლის ქუჩაზე.

3. **დამონტაჟდეს ამკრძალავი ნიშანი „დგომა აკრძალულია“ (3.28)** - ქალაქ წყალტუბოში, მამუკა სამაკაშვილის სახელობის მე-2 საჯარო სკოლასთან, გ. ტაბიძის ქუჩაზე ორივე მხარეს (ნიშნების მოქმედების არეალი 400 მ. ) „ცივი ტბა“-ს მიმდებარედ (ავტოსადგომის მხარეს) ცენტრალური პარკის შესასვლელში რკინიგზის გადასასვლელის მხრიდან.

4. **დამონტაჟდეს ამკრძალავი ნიშანი „სატვირთო ავტომობილების მოძრაობა აკრძალულია“ (3.4)** - ქალაქ წყალტუბოში, მ. სამაკაშვილისა და შ. რუსთაველის ქუჩების შეერთებაზე, გ. ტაბიძისა და 9 აპრილის ქუჩების გზაჯვარედინზე და დ.აღმაშენებლისა და თამარ მეფის ქუჩების გადაკვეთაზე .